

## ვერბალური ნაწილი

### ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუჭებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

#### **1. ქარგვა : მოქარგული**

- (ა) დარღვევა : გაკერილი
- (ბ) დაკეცვა : დაკეცილი
- (გ) აწყობა : მოწყობილი
- (დ) ანთება : დაფერფლილი

#### **2. სკა : თაფლი**

- (ა) რეზიდენცია : კაბინეტი
- (ბ) არქივი : დოკუმენტი
- (გ) ბელელი : ფქვილი
- (დ) მარანი : ღვინო

#### **3. გაზიარება : გულშემატკივარი**

- (ა) მოწესრიგება : მარეგულირებელი
- (ბ) დანაწევრება : გამამთლიანებელი
- (გ) დასკვნა : შემაჯამებელი
- (დ) შედარება : ობიექტური

#### **4. ფოლადი : ხმალი**

- (ა) ძუა : ანკესი
- (ბ) ხე : ვიოლინო
- (გ) მინა : ბროლი
- (დ) ყანწი : რქა

#### **5. მაკეტი : მოღელი**

- (ა) პარტერი : თეატრი
- (ბ) პალიტრა : დაფა
- (გ) პაუზა : ინტერვალი
- (დ) პაროლი : სიტყვა

#### **6. ანონიმური : ხელმოწერა**

- (ა) ინერტული : პასიურობა
- (ბ) ჭეშმარიტი : სანდობა
- (გ) იზოლირებული : მარტოობა
- (დ) ჩვეულებრივი : ორიგინალობა

**7. ჯავშანი : სკატანდრი**

- (ა) გუგა : თვალი
- (ბ) იგავი : ნოველა
- (გ) კვირტი : ყვავილი
- (დ) შენაკადი : შესართავი

**8. ატმოსფერული ტენი : ნალექები**

- (ა) ზღვარი : საზღვრები
- (ბ) დღე : დღესასწაულები
- (გ) ფაქტორი : ფაქტები
- (დ) სათავე : სათაურები

**9. არქაიკა : არქეოლოგი**

- (ა) კარდიოგრამა : კარდიოლოგი
- (ბ) პრეზიდენტი : პრეზიდენტი
- (გ) სოციუმი : სოციოლოგი
- (დ) ტურიზმი : ტურისტი

**წინადადებების შევსება**

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

**10.** ოცნებისა და სინამდვილის, წარმოსახულისა და ნანახის ერთმანეთისგან გარჩევა ცნობიერებისთვის ადვილად მისაღწევია. აი, ამჟამად ჩემს წინაშე მდებარე ქალაქის ფურცელს ვხედავ, ----- ; ვხუჭავ თვალს, ჩემს ცნობიერებაში ქალაქის ხატი ----- არსებობას, ----- ახლა მე მას ----- .

- (ა) ანუ მე მას აღვიქვამ / წყვეტს / მიუხედავად იმისა, რომ / ვერ წარმოვიდგენ
- (ბ) თუმცა, ვერ აღვიქვამ / წყვეტს / ამიტომ / მხოლოდ წარმოვიდგენ
- (გ) თუმცა, ვერ აღვიქვამ / მაინც განაგრძობს / შესაბამისად, / ვერ წარმოვიდგენ
- (დ) ანუ მე მას აღვიქვამ / მაინც განაგრძობს / თუმცა, / მხოლოდ წარმოვიდგენ

**11.** სახელმწიფოები ----- ხდებიან, ----- , რომ თანამედროვე ეკონომიკურმა, ტექნოლოგიურმა, ეკოლოგიურმა და სხვა პროცესებმა აიძულა ისინი, ----- გამხდარიყვნენ.

- (ა) ერთმანეთისგან სულ უფრო დამოუკიდებელნი / რადგან ეს მათ ძალიან სწადიათ, მიუხედავად იმისა / ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი
- (ბ) სულ უფრო ურთიერთდამოკიდებულნი / არა იმიტომ, რომ ეს მათ ძალიან სწადიათ, არამედ იმიტომ / ერთმანეთზე დამოკიდებულნი
- (გ) ერთმანეთზე სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულნი / არა იმიტომ, რომ ეს მათ ძალიან სწადიათ, არამედ იმიტომ / ურთიერთდამოკიდებულნი
- (დ) სულ უფრო ურთიერთდამოკიდებულნი / რადგან ეს მათ ძალიან სწადიათ, მიუხედავად იმისა / ურთიერთდამოკიდებულნი

**12.** ჰიპოთეზის ავტორი მადლიერი უნდა იყოს ყველასი, ვინც მისი ჰიპოთეზის ----- ახალ გზებს აჩვენებს, ----- ყოველი შემოწმების არსი ისაა, რომ ჰიპოთეზამ ----- მისი ----- მცდელობას.

- (ა) დასაბუთების / რადგან / ხელი შეუწყოს / უარყოფის
- (ბ) დასაბუთების / თუმცა, / ხელი შეუწყოს / დამტკიცების
- (გ) სუსტი მხარეების გამოვლენის / რადგან / გაუძლოს / უარყოფის
- (დ) სუსტი მხარეების გამოვლენის / თუმცა, / გაუძლოს / დადასტურების

**13.** ირონია კომიკურ ეფექტს, შთაბეჭდილებას იმით ქმნის, რომ ადამიანებისა და მოვლენებისადმი ----- დამოკიდებულებას ----- ფარავს. ირონია „ეთამაშება“ თავის მსხვერპლს, ----- და ასე კიდევ უფრო ----- მას.

- (ა) კეთილგანწყობილ და სერიოზულ / აშკარად გამოხატული სიმპათიითა და თანაგრძნობით / აკრიტიკებს და დასცინის / აბრიყვებს
- (ბ) კეთილგანწყობილ და სერიოზულ / კრიტიკითა და დაცინვით / მის მიმართ სიმპათიას აშკარად გამოხატავს / აბრიყვებს
- (გ) კრიტიკულ, დამცინავ / მოჩვენებითი კეთილგანწყობითა და სერიოზულობით / მის მიმართ სიმპათიას აშკარად გამოხატავს / სერიოზულს ხდის
- (დ) კრიტიკულ, დამცინავ / გარეგნული კეთილგანწყობითა და მოწონებით / მოჩვენებითი სიმპათიით და სერიოზულობით აბრიყვებს / სასაცილოს ხდის

## ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

### 14. მოცემულია:

- ამ ქალაქში მცხოვრები ყველა ბავშვი ცელქია
- არც ერთი ქერა ბავშვი არ არის ცელქი

დავუშვათ, რომ ეს დებულებები ჭეშმარიტია. რომელი დასკვნა გამომდინარეობს მათგან?

- (ა) ყველა ცელქი ბავშვი ამ ქალაქში ცხოვრობს
- (ბ) ზოგიერთი ქერა ბავშვი ამ ქალაქში ცხოვრობს
- (გ) ამ ქალაქში არ ცხოვრობს არც ერთი ქერა ბავშვი
- (დ) არც ერთი ბავშვი, რომელიც არ ცხოვრობს ამ ქალაქში, არაა ქერა

### 15. წიგნის თაროზე გვერდიგვერდ აწყვია ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და მათემატიკის სახელმძღვანელოები (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით).

- გეოგრაფიის სახელმძღვანელო დევს ფიზიკის სახელმძღვანელოს გვერდით
- გეოგრაფიის სახელმძღვანელოს გვერდით არ დევს მათემატიკის სახელმძღვანელო
- მათემატიკის სახელმძღვანელო არც ქიმიის სახელმძღვანელოს გვერდით დევს

ქიმიის სახელმძღვანელოს გვერდით დევს:

- (ა) მხოლოდ გეოგრაფიის სახელმძღვანელო
- (ბ) მხოლოდ ფიზიკის სახელმძღვანელო
- (გ) როგორც ფიზიკის, ასევე, გეოგრაფიის სახელმძღვანელო
- (დ) როგორც ფიზიკის, ასევე, მათემატიკის სახელმძღვანელო

### 16. მოცემულია ორი დებულება:

- ინდური სპილოები იკვებებიან ბალახითა და ბანანით
- აფრიკული სპილოები იკვებებიან ბანანითა და ქოქოსით

გამოიტანეს დასკვნა:

იმ არსებებთან შორის, რომლებიც ჭამენ ბანანს, არიან სპილოებიც.

ეს დასკვნა:

- (ა) გამომდინარეობს ორივე დებულებიდან, მაგრამ არ გამომდინარეობს არც ერთიდან ცალ-ცალკე
- (ბ) გამომდინარეობს თითოეული დებულებიდან ცალ-ცალკე
- (გ) გამომდინარეობს მხოლოდ ერთ-ერთი დებულებიდან
- (დ) არ გამომდინარეობს მოცემული დებულებებიდან

**17.** მუსიკის მოყვარულები ახალგაზრდა მუსიკოსთა კონკურსზე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ B მუსიკოსს, რომელიც ჯაზური მუსიკის საუკეთესო შემსრულებელი იყო და ყოველთვის აშკარად გამოხატავდა თავის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ჯაზის მიმართ. მაგრამ კონკურსზე გაიმარჯვა D მუსიკოსმა, რომელიც კლასიკური მუსიკის სფეროში მოღვაწეობდა. მუსიკის მოყვარულებმა ეს ფაქტი ახსნეს ჟიურის წევრთა ტენდენციური დამოკიდებულებით B-ს მიმართ.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მატებს დამაჯერებლობას მუსიკის მოყვარულთა ამ ვარაუდს?*

- (ა) B სულ ახლახან დაბრუნდა უცხოეთიდან, სადაც მან ჯაზური მუსიკის კონცერტები გამართა
- (ბ) D განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა ამ კონკურსისთვის
- (გ) ჟიურის წევრთა უმრავლესობა კლასიკური მუსიკის სფეროში მოღვაწე ხელოვანი იყო
- (დ) ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი კომპოზიტორი იყო, რომლის ერთ-ერთი მუსიკალური კომპოზიცია B-ს რეპერტუარშიც იყო

**18.** ფოტოგრაფმა იტალიის ქალაქებში გადაღებული ფოტომასალა 3 საქაღალდეში გაანაწილა. I საქაღალდეს ეწერა „ვენეცია“, II-ს – „ფლორენცია“, III-ს კი – „რომი“. მართლაც, ერთ საქაღალდეში ეწყო მხოლოდ ვენეციაში, ერთში – მხოლოდ ფლორენციაში, ერთში კი – მხოლოდ რომში გადაღებული ფოტოები. ამასთან, არც ერთი წარწერა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი დებულების ჭეშმარიტებაა შეუძლებელი ამ მოცემულობის თანახმად?*

- (ა) თუ I საქაღალდეში აწყვია ფლორენციის ფოტოები, მაშინ რომის ფოტოები II საქაღალდეშია
- (ბ) თუ III საქაღალდეში აწყვია ფლორენციის ფოტოები, მაშინ I საქაღალდეში რომის ფოტოებია
- (გ) თუ II საქაღალდეში ვენეციის ფოტოებია, მაშინ I საქაღალდეში რომის ფოტოებია
- (დ) თუ III საქაღალდეში ფლორენციის ფოტოებია, მაშინ II საქაღალდეში რომის ფოტოებია

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

ენისა და აზროვნების მჭიდრო კავშირი ექვს არ იწვევს. მაგრამ ისმის კითხვა: ენა მხოლოდ აზრის გამოხატვას ემსახურება თუ თავადაც ახდენს გავლენას აზრის ჩამოყალიბებაზე? აზროვნებენ თუ არა ერთნაირად სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები? ამ საკითხს იკვლევდნენ ე. სეპირი და ბ. ლ. უორფი. მათ ჩამოაყალიბეს ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, ენობრივი თავისებურებები განსაზღვრავს ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მიერ სამყაროს აღქმასა და აზროვნებას.

უორფი მიიჩნევს, რომ ადამიანი მშობლიური ენის საფუძველზე ახდენს სამყაროში მიმდინარე მოვლენების კატეგორიებად დაყოფას. თანამედროვე ფსიქოლინგვისტს დ. სლობინს მოჰყავს თურქულენოვანი ბავშვების მაგალითი. მათ მშობლიურ თურქულ ენაში არსებობს ზმნის სუფიქსი, რომელიც გვიჩვენებს, რომ მთხრობელი ზმნაში ასახული მოქმედების თვითმხილველია. მაგალითად, თურქი ბავშვები, სხვა ენებზე მოლაპარაკე ბავშვებისგან განსხვავებით, ბურთის სროლის სიტუაციის აღწერისას შესაბამისი სიტყვის სხვადასხვა ფორმას იყენებენ იმისდა მიხედვით, არიან თუ არა ამ სიტუაციის თვითმხილველები. ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებისთვის კი სამყაროში მიმდინარე მოვლენები იმთავითვე არ იყოფა ორ კატეგორიად – მოვლენებად, რომლებიც საკუთარი თვალთ იხილეს, და მოვლენებად, რომელთა შესახებ სხვა წყაროებიდან შეიტყვეს. სამყაროს აღქმაზე ენის გავლენასთან დაკავშირებით საყურადღებოა ქართველ და რუს ბავშვებზე ჩატარებული ექსპერიმენტი. ბავშვებს სთხოვეს, დაეგუფებინათ საგნები, ისე, რომ მათთვის წინასწარ არ იყო ცნობილი, რა ნიშნით უნდა მიეკუთვნებინათ საგნები ამა თუ იმ ჯგუფისთვის. აღმოჩნდა, რომ ქართველმა და რუსმა ბავშვებმა გამოყვეს საგანთა სხვადასხვა ჯგუფები იმის გამო, რომ ქართულ ენაში წვრილი და თხელი საგნების დასახასიათებლად გამოიყენება განსხვავებული სიტყვები, რუსულ ენაში კი ორივე ეს თვისება ერთი სიტყვით აღინიშნება.

ენებს ერთმანეთისგან განასხვავებს ის, თუ რამდენად ადვილად და ზუსტად შეიძლება გამოვხატოთ სიტყვებით მოვლენებსა თუ საგნებს შორის არსებული განსხვავებები. სხვადასხვა ენაში ფერთა სახელების რაოდენობა სხვადასხვაა. ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ინგლისურ ენაში ფერის 11 დასახელება არსებობს, ხოლო ახალი გვინეის ერთ-ერთი ტომის ენაში – მხოლოდ ორი: ბნელი და ნათელი. მეცნიერებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ფერთა სახელების რაოდენობა გავლენას ახდენს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მიერ ფერების კლასიფიცირების უნარზე. ამ ვარაუდის შესამოწმებლად იკვლევდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მიერ ფერების აღქმისა და კლასიფიცირების თავისებურებებს.

ექსპერიმენტში ცდისპირებს სთხოვეს განესაზღვრათ, სამი ფერიდან ყველაზე მეტად რომელი განსხვავდებოდა დანარჩენი ორისგან. ფერები აღებული იყო ლურჯიდან მწვანემდე სპექტრულ დიაპაზონში (ლურჯი, ცისფერი და მწვანე). ცდისპირთა ერთ ჯგუფში ინგლისურენოვანი ადამიანები იყვნენ (ინგლისურ ენაში არსებობს მწვანისა და ლურჯის ლექსიკურად განსხვავებული ერთეულები, თუმცა, ლურჯი და ცისფერი ერთი სიტყვით აღინიშნება), ხოლო მეორეში – ტარაპუმარას ენაზე მოლაპარაკე მექსიკელები (ამ ენაში ცისფრის, ლურჯისა და მწვანე ფერის აღსანიშნავად არსებობს მხოლოდ ერთი სიტყვა). თუ სეპირ-უორფის ჰიპოთეზა მართებულია, მაშინ ინგლისურენოვან ცდისპირებს მწვანე ფერი უნდა მიეჩნიათ დანარჩენი ორისგან – ლურჯისა და ცისფრისგან – განსხვავებულად, ხოლო ტარაპუმარას ენაზე მოლაპარაკე ცდისპირებისთვის ეს ამოცანა შედარებით რთული უნდა ყოფილიყო. მიღებული შედეგები სეპირ-უორფის ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებდა. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს კვლევები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ამ ჰიპოთეზის მართებულობას.

**19.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული ტექსტის I აბზაცში დასმული შეკითხვების ძირითადი აზრი?

- (ა) ენა შესაძლოა იყოს არა მხოლოდ აზრის გაფორმების საშუალება, არამედ აზროვნების პროცესის აღმოცენების საფუძველი
- (ბ) ენა შესაძლოა ემსახურებოდეს როგორც აზრის გამოხატვას, ისე მის სხვადასხვაგვარად გამოთქმას
- (გ) ენა, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს აზროვნებაზე და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა განსხვავებულად აზროვნების განმპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია
- (დ) ენა, სავარაუდოდ, წარმოადგენს აზრის გამოხატვისა და ჩამოყალიბების როგორც ხელშემწყობ, ისე შემაფერხებელ ფაქტორს

**20.** ტექსტის II აბზაცში მოყვანილია თურქულენოვანი ბავშვების მაგალითი, აგრეთვე, ქართველ და რუს ბავშვებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები. რა მიმართებაა მათ შორის?

- (ა) როგორც თურქულენოვანი ბავშვების მაგალითი, ისე ექსპერიმენტის შედეგები იმაზე მიანიშნებს, რომ მშობლიური ენა განსაზღვრავს სამყაროს მოვლენათა სხვადასხვაგვარად დაჯგუფებას
- (ბ) როგორც თურქულენოვანი ბავშვების მაგალითი, ისე ექსპერიმენტის შედეგები ეჭვქვეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ მშობლიური ენა გავლენას ახდენს სამყაროს მოვლენათა დიფერენცირებისა თუ კლასიფიცირების ხასიათზე
- (გ) თურქულენოვანი ბავშვების მაგალითი გვიჩვენებს, რომ მშობლიური ენის გავლენით ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს, ხოლო ექსპერიმენტის შედეგები საგანთა ერთნაირად დაჯგუფების შესაძლებლობას უარყოფს
- (დ) ექსპერიმენტის შედეგები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები განსხვავებულად აჯგუფებენ საგნებს, ხოლო თურქულენოვანი ბავშვების მაგალითი აბათილებს ამ მოსაზრებას

**21.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არაა მართებული?

- (ა) ინგლისურ ენაში არ არსებობს ზმნის ისეთი სუფიქსი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გავიგოთ, იყო თუ არა ადამიანი რაიმე მოვლენის თვითმხილველი
- (ბ) ინგლისურ ენაში არ მოიპოვება სიტყვები იმის გადმოსაცემად, იყო თუ არა ადამიანი რაიმე მოვლენის თვითმხილველი
- (გ) ინგლისურენოვან ადამიანებს გაუჭირდებათ მხოლოდ ერთი სიტყვით მიგვანიშნონ, იყვნენ თუ არა რაიმე მოვლენის თვითმხილველნი
- (დ) ინგლისურენოვანი ადამიანებისთვის მოვლენები იმთავითვე არ არის კატეგორიზებული იმის მიხედვით, იყვნენ თუ არა ისინი ამ მოვლენების თვითმხილველნი

**22.** III და IV აბზაცების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:

- (ა) რაც უფრო მეტი სიტყვა არსებობს ენაში ფერების აღსანიშნავად, მით უფრო მრავალფეროვანია ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მიერ აღქმული სამყარო
- (ბ) რაც უფრო ნაკლები სიტყვა გამოიყენება ენაში ფერების აღსანიშნავად, მით უფრო უჭირთ ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს მოვლენათა შორის არსებული მსგავსების გამოხატვა
- (გ) რაც უფრო მეტი სიტყვა არსებობს ენაში განსხვავებული ფერების აღსანიშნავად, მით უფრო ზუსტად შეუძლიათ ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს საგნებისა თუ მოვლენების დახასიათება ფერის მიხედვით
- (დ) რაც უფრო ნაკლებია ფერების აღმნიშვნელი სიტყვა ენაში, მით უფრო იშვიათად სჭირდებათ ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს ამა თუ იმ ფერის საგნებთან ურთიერთობა

**23.** წარმოიდგინეთ, რომ ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი და ტარაჰუმარას ენაზე მოსაუბრე ბავშვები, რომლებსაც ფერის მიხედვით უნდა დაეჭვებინათ ცისფერი, მწვანე და ლურჯი ფანქრები. სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად, მოსალოდნელია, რომ:

- (ა) ტარაჰუმარას ენაზე მოლაპარაკე ბავშვებისგან განსხვავებით, ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ცდისპირები ფანქრების ერთი და იმავე რაოდენობის ჯგუფებს გამოყოფდნენ
- (ბ) ფანქრების ყველაზე მეტ ჯგუფს გამოყოფდნენ ქართულენოვანი, შემდეგ – ინგლისურენოვანი და ბოლოს – ტარაჰუმარას ენაზე მოლაპარაკე ბავშვები
- (გ) ფანქრების ყველაზე მეტ ჯგუფს გამოყოფდნენ ინგლისურენოვანი ცდისპირები, შემდეგ – ქართულენოვანი და ბოლოს – ტარაჰუმარას ენაზე მოლაპარაკე ბავშვები
- (დ) ფანქრების ყველაზე მეტ ჯგუფს გამოყოფდნენ ქართულენოვანი ბავშვები, ხოლო ინგლისურენოვანი და ტარაჰუმარას ენაზე მოლაპარაკე ცდისპირები – ერთი და იმავე რაოდენობის ჯგუფებს

**24.** რა მიმართებაა II და IV აბზაცებში აღწერილ ექსპერიმენტებს შორის?

- (ა) მათი ჩატარების პროცედურა განსხვავებულია, მიუხედავად ამისა, მათი მიზანი ერთი და იმავე მოვლენის შესწავლა და ერთი კონკრეტული თეორიული კონცეფციის შემოწმება იყო
- (ბ) მათი ჩატარების პროცედურა იდენტურია, მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზანი განსხვავებული მოვლენების შესწავლა იყო, რის საფუძველზეც ერთი და იგივე ჰიპოთეზა მოწმდებოდა
- (გ) მათი ჩატარების პროცედურა იდენტურია, ისევე, როგორც მსგავსი იყო მათი შესწავლის საგანი, რაც ერთი და იმავე თეორიული კონცეფციის შემოწმების საშუალებას იძლეოდა
- (დ) მათი ჩატარების პროცედურა განსხვავებულია, ისევე, როგორც განსხვავებული იყო მათი შესწავლის საგანი და შესამოწმებელი ჰიპოთეზა



**25. ტექსტის ავტორის მთავარი მიზანია:**

- (ა) დაგვანახოს, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხის შესწავლა, რაც დასაბუთებულია ექსპერიმენტული მონაცემებით
- (ბ) გვიჩვენოს, რომ აზროვნებისა და ენის ურთიერთკავშირის მრავალი ასპექტი დღემდე არ არის შესწავლილი, ისევე, როგორც წინააღმდეგობრივია ამ საკითხის ირგვლივ გამოთქმული შეხედულებები
- (გ) გარკვეულ მეცნიერულ მოსაზრებასთან მიმართებაში განიხილოს ფაქტობრივი მასალა და ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირს შეეხება
- (დ) მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო ექსპერიმენტული მონაცემისა და ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთოს ენისა და აზროვნების კავშირის შესახებ არსებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჰიპოთეზა

**ანალოგიები**

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდოდ პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ მიღებულ წყვილში სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს. პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

**26. სათვისტომო : თანამემამულე**

**თეატრის დასი :**

- (ა) რეჟისორი
- (ბ) სცენარისტი
- (გ) მსახიობი
- (დ) პერსონაჟი

**27. ანალოგია : მსგავსება**

**სიმეტრია :**

- (ა) განლაგება
- (ბ) თანაზომიერება
- (გ) შეფარდება
- (დ) განზომილება

**28. ქარავანი : ჯოგი**

**გაზონი :**

- (ა) ხეივანი
- (ბ) მინდორი
- (გ) ნაკრძალი
- (დ) ყვავილნარი

**29. ტექსტის ფრაგმენტი : ციტატა**

**სიტყვა :**

- (ა) მნიშვნელობა
- (ბ) ლექსიკა
- (გ) ფრაზა
- (დ) ტერმინი

**30. კვალიფიციური : დილექტანტური**

**უდავო:**

- (ა) საფუძვლიანი
- (ბ) დაუჭერებელი
- (გ) მართებული
- (დ) საკამათო

**31. ყური : მელოდისური**

**თვალი :**

- (ა) მკრთალი
- (ბ) მახვილი
- (გ) აღქმული
- (დ) დაკვირვებული

**წინადადებების შევსება**

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

**32.** მონა ევრიპიდესთვის, პირველ ყოვლისა, ადამიანია, რომელსაც ----- უფლება. უფრო მეტიც, პატიოსანი მონა არაფრით ----- . თუმცა, ევრიპიდე ბოლომდე თანმიმდევრული როდია. ის იზიარებს შეხედულებას, რომ ----- ეს უკანასკნელნი ----- დაბადებულნი.

- (ა) არ აქვს არჩევანის / არ შეიძლება იყოს თავისუფალი მოქალაქის სწორი / ადამიანებს ვერ დავყოფთ ელინებად და ბარბაროსებად, მაგრამ / მაინც არ არიან თავისუფლებისთვის
- (ბ) არ აქვს არჩევანის / არ შეიძლება იყოს თავისუფალი მოქალაქის სწორი / ადამიანები იყოფიან ელინებად და ბარბაროსებად, და / მონობისთვის არიან
- (გ) აქვს არსებობის / არ არის თავისუფალ მოქალაქეზე ნაკლები / ადამიანები იყოფიან ელინებად და ბარბაროსებად, მაგრამ / მონობისთვის სულაც არ არიან
- (დ) აქვს არსებობის / არ არის თავისუფალ მოქალაქეზე ნაკლები / ადამიანები იყოფიან ელინებად და ბარბაროსებად, და / მონობისთვის არიან

**33.** თუ მე კეთილგანწყობას ----- სხვა ადამიანის მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ----- მომავალშიც მქონდეს მასთან საქმე, ----- , რომ სინამდვილეში მე მის მიმართ კეთილგანწყობილი ----- ანგარებით - სიკეთე ----- , თუ ის საკუთრივ სიკეთის ქმნას არ ემსახურება.

- (ა) ვიჩენ / მსურს / ეს ნიშნავს / კი არ ვარ, არამედ ვმოქმედებ / არაა სიკეთე
- (ბ) არ ვიჩენ / არ მსურს / ეს ნიშნავს / არ ვარ და ვმოქმედებ / მხოლოდ მაშინაა სიკეთე
- (გ) ვიჩენ / მსურს / ეს არ ნიშნავს / არ ვარ და ვმოქმედებ / მხოლოდ მაშინაა სიკეთე
- (დ) არ ვიჩენ / არ მსურს / ეს არ ნიშნავს / არ ვარ, რომ ვმოქმედებ / არაა სიკეთე

**34.** მდინარე ხმელეთის სხვადასხვა ნაწილს ერთმანეთისგან ყოფს. მით უფრო ყოფს მათ ზღვა და ამიტომ მიჩვეულნი ვართ, წყალი გამყოფ ფაქტორად მივიჩნიოთ. ----- , არაფერი ისე ----- . გამყოფი მხოლოდ ----- . მაგალითად, ხმელთაშუა ზღვამ მხოლოდ იმიტომ ----- ანტიკური სამყაროს ცენტრი გამხდარიყო, რომ ----- .

- (ა) ამასთან / დამაახლოებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც ხმელეთი / წყალია / შეძლო / უამრავ კუნძულს აკავშირებდა კონტინენტურ საბერძნეთთან
- (ბ) თუმცა / დამაშორებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც წყალი / მთიანეთია / ვერ შეძლო / იგი ზღვა იყო
- (გ) თუმცა / დამაახლოებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც წყალი / მთიანეთია / შეძლო / იგი ზღვა იყო
- (დ) ამასთან / დამაშორებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც ხმელეთი / წყალია / ვერ შეძლო / უამრავ კუნძულს აკავშირებდა კონტინენტურ საბერძნეთთან

**35.** რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან კოალიციაში შესვლა არის ვალდებულება ----- დაცვისა, ისინი კი, შესაძლოა, ----- ინტერესებს. ----- , მულტიპოლარულ სისტემაში ----- კომპლექსურ თავსატეხს წარმოადგენს.

- (ა) საკუთარი, ანუ კოალიციაში შემსვლელი სახელმწიფოს ინტერესების / არ ეწინააღმდეგებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოს / შესაბამისად / საკუთარი და პოტენციური მოკავშირეების ინტერესების დაპირისპირება
- (ბ) მისი გარკვეული ინტერესების / ეწინააღმდეგებოდნენ კოალიციაში შემსვლელი სახელმწიფოს / შესაბამისად / საკუთარი და პოტენციური მოკავშირეების ინტერესების ურთიერთშეთანხმება
- (გ) მისი ინტერესების / არ ეწინააღმდეგებოდნენ კოალიციაში შემსვლელი სახელმწიფოს / მიუხედავად ამისა / პოტენციური მოკავშირეების ინტერესების იგნორირება
- (დ) საკუთარი, ანუ კოალიციაში შემსვლელი სახელმწიფოს ინტერესების / ეწინააღმდეგებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოს / მიუხედავად ამისა / საკუთარი ინტერესების იგნორირება

**36.** როდესაც უმრავლესობასა და უმცირესობაზე მსჯელობენ, ერთი და იმავე ჯგუფის წევრებს გულისხმობენ, ----- ინდივიდზე უმრავლესობისა და უმცირესობის გავლენის ფორმები ----- . უმრავლესობის ზეგავლენას შედეგად მოსდევს ----- , მაგრამ დროებითი დათმობა ინდივიდის მხრიდან, ----- უმცირესობის ზეგავლენას - ----- პიროვნული ცვლილებები.

- (ა) თუმცა, / განსხვავებულია / აშკარა, სწრაფი / ხოლო / არათვალსაჩინო, თუმცა, ხანგრძლივი და ღრმა
- (ბ) შესაბამისად, / განსხვავებული არაა / აშკარა, სწრაფი / მსგავსად ამისა, / არათვალსაჩინო, თუმცა, ხანგრძლივი და ღრმა
- (გ) მიუხედავად ამისა, / მსგავსი არაა / არცთუ თვალსაჩინო, სწრაფი / მაშინ, როდესაც / ფარული და ხანმოკლე
- (დ) სწორედ ამიტომ / მსგავსია / არცთუ თვალსაჩინო, ფარული / ანალოგიურად, / აშკარა და ხანგრძლივი

**37.** ქართული ხასიათი ----- „მოსასხამებს და ნიღბებს“ თმობს დაუნანებლად, ----- მათ „ჩამოგლეჯას“, ----- . ყოველივე ეს („მოსასხამიც“, „პირობითობაც“, „ნიღბებიც“) მას ----- თვისებად წარმოუდგება.

- (ა) იოლად ელევა „პირობითობას“, ისევე, როგორც / თუმცა, მთელი ძალით ესწრაფვის / რადგან არ სურს შიშველ სინამდვილეს თვალი გაუსწოროს / ცხოვრების უმნიშვნელო
- (ბ) იოლად ელევა „პირობითობას“, ისევე, როგორც / მთელი ძალით ესწრაფვის / რათა შიშველი სინამდვილე იხილოს / ცხოვრების არსებით
- (გ) იოლად ვერ ელევა „პირობითობას“, ვერც / არამც და არამც არ ჩქარობს / რადგან არ სურს შიშველ სინამდვილეს თვალი აარიდოს / ცხოვრების უმნიშვნელო
- (დ) იოლად ვერ ელევა „პირობითობას“, ვერც / არამც და არამც არ ჩქარობს / რათა შიშველი სინამდვილე იხილოს / ცხოვრების არსებით

## ლოგოკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

**38.** სპორტული ფირმის დაკვეთით ჩატარდა კვლევა იმის გასარკვევად, რომელი პროდუქციის რეკლამა ახსოვთ ახალგაზრდებს ყველაზე უკეთ. გამოიკვეთა ერთ-ერთი სპორტული ინვენტარის ორი რეკლამა. სპორტული ფირმის ხელმძღვანელობამ ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ თავად ეს ინვენტარი განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდებში.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აყენებს ექვემოთ სპორტული ფირმის ხელმძღვანელობის ამ ვარაუდს?

- (ა) ორივე რეკლამაში მონაწილეობდნენ სპორტსმენები, რომელთა სახელები და გარეგნობა ნაკლებად ცნობილია ახალგაზრდებისთვის
- (ბ) ორივე რეკლამას ტელევიზიით დაახლოებით იმავე სიხშირით უჩვენებდნენ, როგორც ამ ფირმის სხვა პროდუქციის რეკლამას
- (გ) სხვა რეკლამებისგან განსხვავებით, ორივე ეს რეკლამა თხილამურებს უწევდა პოპულარიზაციას, რომლებიც ყველაზე გაყიდვად პროდუქციად ითვლება სპორტის სამყაროში
- (დ) სხვა რეკლამებისგან განსხვავებით, ორივე ეს რეკლამა განთავსებული იყო ბანერებზე, რომლებიც, ძირითადად, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მდებარეობდა

**39.** მოცემულია:

- არ არსებობს მსახიობი, რომელიც ჰამლეტის როლის შესრულებაზე არ ოცნებობს

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ დებულების ტოლფასი?

- (ა) ყველა, ვინც ჰამლეტის როლის შესრულებაზე ოცნებობს, მსახიობია
- (ბ) ვინც მსახიობი არ არის, არ ოცნებობს ჰამლეტის როლის შესრულებაზე
- (გ) მსახიობთა უმრავლესობა ოცნებობს ჰამლეტის როლის შესრულებაზე
- (დ) მხოლოდ ის არის მსახიობი, ვინც ჰამლეტის როლის შესრულებაზე ოცნებობს

**40.** მოცემულია:

- თუ გუშინ გიორგიმ ხელფასი აიღო და შაბათს რაგბის მატჩზე მეგობრის დაპატიჟება სურს, ის ან დღესვე დაჯავშნის ბილეთებს, ან ხვალ სალაროში წავა მათ შესაძენად
- გიორგის სურს შაბათს რაგბის მატჩზე მეგობრის დაპატიჟება
- გიორგის დღეს ბილეთები არ დაუჯავშნია

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარების განხორციელებაა შეუძლებელი ამ მოცემულობის თანახმად?*

- (ა) გიორგიმ გუშინ ხელფასი აიღო და ის ხვალ სალაროში მიდის რაგბის მატჩის ბილეთების შესაძენად
- (ბ) გიორგიმ გუშინ ხელფასი აიღო და ის ხვალ სალაროში არ მიდის რაგბის მატჩის ბილეთების შესაძენად
- (გ) გიორგის გუშინ ხელფასი არ აუღია და ის ხვალ სალაროში მიდის რაგბის მატჩის ბილეთების შესაძენად
- (დ) გიორგის გუშინ ხელფასი არ აუღია და ის ხვალ სალაროში არ მიდის რაგბის მატჩის ბილეთების შესაძენად

**41.** სამი ქალბატონი A, B და C მსჯელობს მათი საერთო ნაცნობის სურათების კოლექციაზე.

A: ლადოს აქვს ელენე ახვლედიანის ოთხი ორიგინალი მაინც

B: ლადოს კოლექციაში ელენე ახვლედიანის ოთხი ორიგინალი არ არის

C: ჩემი აზრით, ლადოს აქვს ელენე ახვლედიანის სულ მცირე ერთი ორიგინალი

*ქალბატონებმა დაათვალიერეს ლადოს კოლექცია. მათგან მართალი აღმოჩნდა მხოლოდ ერთი. ელენე ახვლედიანის რამდენი ორიგინალია ლადოს კოლექციაში?*

- (ა) 0
- (ბ) 1
- (გ) 2 ან 3
- (დ) 4 ან 5

**42.** მოცემულია:

- თუ შაშვს რაიმე სიამოვნებს, ის კარგად გალობს
- შაშვს ძალიან სიამოვნებს, როდესაც თეთრ ღრუბლებს ხედავს

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამომდინარეობს ამ წანამძღვრებიდან?*

- (ა) თუ შაშვი კარგად არ გალობს, ის თეთრ ღრუბლებს ვერ ხედავს
- (ბ) თუ შაშვი კარგად გალობს, ის თეთრ ღრუბლებს ხედავს
- (გ) თუ შაშვი თეთრ ღრუბლებს ვერ ხედავს, კარგად ვერ გალობს
- (დ) თუ შაშვი კარგად გალობს, მას რაღაც სიამოვნებს

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

რა გზით მოხდა ჰომეროსის პოემების „ილიადასა“ და „ოდისეას“ ჩამოყალიბება – ზეპირად თუ წერილობით? ფოლკლორის მკვლევართა აზრით, ზეპირი გზით შეიძლება შეიქმნას და თაობიდან თაობას გადაეცეს საკმაოდ ვრცელი ეპიკური ნაწარმოები. ეს შესაძლებელი ხდება პოეტ-მემსრულებლის მიერ საგანგებო ეპიკური ენის ცოდნის წყალობით, რაც მრავალრიცხოვანი პოეტური ფორმულის (ლექსის ერთსა და იმავე პოზიციაში რეგულარულად განმეორებადი სიტყვებისა და ფრაზების) დამახსოვრებასა და ცოდნას გულისხმობს. რამდენადაც ჰომეროსის ეპოსში ბევრია ამგვარი ფორმულა, განსაკუთრებით კი ე. წ. გაქვავებული ეპითეტები, „ზეპირი პოეზიის“ მომხრეთა თვალსაზრისით, ჰომეროსის პოემები ზეპირად შეიქმნა და მხოლოდ შემდგომ ჩაიწერა ან ჰომეროსისავე ეპოქაში, ანდა – მოგვიანებით.

ჰომეროსთან პოეტური ფორმულების გამოყენება მთელ პოემაში ექვემდებარება განაწილების სრულიად გარკვეულ კანონებს, რაც მხოლოდ მკაფიო სტრუქტურის მქონე, წერილობით შექმნილ ტექსტს შეიძლება ახასიათებდეს. მაგალითად, პოემის ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილებში ერთი და იმავე ფორმულის შეგნებული გამოყენებით პოეტი ხაზს უსვამს პასაჟთა შორის კავშირს. გმირები ისეთი სიხშირით იყენებენ მათი მეტყველების ერთმანეთისგან განმასხვავებელ სიტყვებსა თუ ფრაზებს, რომ უბრალოდ ამითხვევა პრაქტიკულად გამორიცხვულია. უკანასკნელი გამოკვლევებით ნათელი გახდა, რომ ჰომეროსის პოემები მკაცრად ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს. კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები, მოქმედების აგების თავისებურებანი, გმირთა ინდივიდუალიზაციის ხერხები მხოლოდ წერილობითი გზით შექმნილი დიდი ეპოსისათვისაა ნიშანდობლივი.

ჰომეროსის ორივე პოემა აგებულია კომპოზიციური ორგანიზაციის იმ პრინციპთა შესაბამისად, რომლებიც გეომეტრიული ეპოქისთვის\* არის დამახასიათებელი. მაგალითად, რომელიმე გმირის მიერ წარმოთქმული სიტყვა წარმოადგენს გარკვეულ სტრუქტურულ მთლიანობას, ხოლო ცალკეული წინადადებები მისი შემადგენელი ელემენტებია. თითოეული წინადადება რაღაც მნიშვნელობის მქონე ერთეულია. ანალიზმა აჩვენა, რომ ეს წინადადებები მნიშვნელობათა მსგავსების ან პოლარულობის მიხედვით ნაწილდება მთელ სიტყვაში ორი ძირითადი პრინციპით: ისინი ან სიტყვის ცენტრალური ნაწილის მიმართ „წრიულად“ განლაგდებიან  $a b c b^1 a^1$  მიმდევრობით, ან პარალელურად –  $a b c \dots a^1 b^1 c^1$  მიმდევრობით არიან წარმოდგენილნი. საინტერესოა წრიული კომპოზიციის ასეთი მაგალითიც: „ილიადაში“ პირველი ქება მთავრდება შემდეგი ეპიზოდებით: აქილევისა და თეტისის საუბარი, თეტისის და ზევსის საუბარი, კამათი ოლიმპოზე. ხოლო ბოლო ქება იწყება ტიპოლოგიურად მსგავსი ეპიზოდებით: კამათი ოლიმპოზე, ზევსისა და თეტისის საუბარი, თეტისის და აქილევის საუბარი... ცხადია, ეპიზოდთა ტიპოლოგიურ მსგავსებაში არ იგულისხმება მათი შინაარსობრივი იგივეობა: სხვა აქვთ ღმერთებს საკამათო პირველ ქებაში და სხვა რამეზე დავობენ ისინი ბოლო ქებაში.

ამრიგად, ჰომეროსის ეპოსში შინაარსის მქონე ელემენტები დალაგებულია კომპოზიციური ორგანიზაციის ორი ძირითადი პრინციპის – წრიული კომპოზიციისა და პარალელური დაყოფის – შესაბამისად. მესამე პრინციპის, თავისუფალი მიმდევრობის, როლი შედარებით უმნიშვნელოა. კომპოზიციური ორგანიზაციის ეს პრინციპები თავს იჩენს როგორც უმცირეს სტრუქტურულ ერთეულებში (ცალკეული გმირის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში), ასევე, უფრო მოზრდილში – ცალკეულ სცენებსა თუ სცენათა ჯგუფებში და, ბოლოს, პოემის მთელ სტრუქტურაში.

\*გეომეტრიული ეპოქა – (ე.წ. ჰომეროსის ეპოქა) ძვ. წ. აღ IX-VIII სს. საბერძნეთში; ამ პერიოდის ხელოვნების ნიმუშებისთვის დამახასიათებელია მკაცრი გეომეტრიზმი; გეომეტრიული სტილი გულისხმობს განსხვავებული დეტალებისა თუ მოტივების ერთმანეთზე დამოკიდებულებას ან მათ კოორდინაციას.

**43.** საგანგებო ეპიკური ენის ცოდნა შესაძლებელს ხდის:

- (ა) გაქვავებული ეპითეტების გამოყენებას ლექსის ერთსა და იმავე პოზიციაში ეპიკური ნაწარმოების წერილობით ჩამოყალიბების დროს
- (ბ) რეგულარულად განმეორებადი სიტყვებისა და ფრაზების დამახსოვრებას ვრცელი ეპიკური ნაწარმოების შექმნის პროცესში
- (გ) ნაირგვარი პოეტური ფორმულების სისტემურ გამოყენებას ვრცელი პოემის ზუსტად განსაზღვრულ ადგილებში
- (დ) ფოლკლორულ ნიმუშებში პოეტ-შემსრულებელთა ერთმანეთისგან განსხვავებას პოეტური ფორმულების ორიგინალურობის თვალსაზრისით

**44.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება გამოვიყენოთ იმის არგუმენტად, რომ ჰომეროსის პოემები წერილობით ჩამოყალიბდა?

- (ა) ჰომეროსის ეპოსი ორიგინალურია კომპოზიციური ორგანიზაციის, მოქმედების აგების თავისებურების თუ პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის თვალსაზრისით
- (ბ) ჰომეროსის ეპოსში თითოეული პერსონაჟის მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება გარკვეული წესების საფუძველზე ხდება
- (გ) ჰომეროსის ეპოსში პოეტური ფორმულები მკაცრად ორგანიზებული სისტემის, გარკვეული კანონზომიერების საფუძველზეა განაწილებული
- (დ) მსგავსი პოეტური ფორმულების მიზანმიმართულად განაწილება ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ მონაკვეთებში ეპიზოდთა გარკვეულ ურთიერთმიმართებაზე მეტყველებს

**45.** რა მიმართებაა III აბზაცსა და სქოლიოს შორის?

- (ა) III აბზაცში ჰომეროსის პოემები განხილულია, როგორც სტრუქტურული მთლიანობა, სქოლიოში კი დადასტურებულია ამ პოემებისთვის ნიშანდობლივი სწრაფვა გეომეტრიზმისკენ და სისტემატიზაციისკენ
- (ბ) III აბზაცში ახსნილია კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები, სქოლიოში კი განმარტებულია ჰომეროსის ეპოქისთვის დამახასიათებელი გეომეტრიული სტილის სპეციფიკა
- (გ) III აბზაცში წარმოდგენილია ტექსტის ორგანიზების გეომეტრიული ეპოქისთვის დამახასიათებელი პრინციპები, სქოლიოში კი ეს პრინციპები შედარებულია ამავე ეპოქის მხატვრული ნაწარმოების აგების წესთან
- (დ) III აბზაცში ახსნილია პოემებში მნიშვნელობის მქონე ცალკეულ ელემენტთა განაწილების ჰომეროსისეული პრინციპი, სქოლიოში კი ილუსტრირებულია განსხვავებულ ელემენტთა თავისებურებანი



**46.** რა ფუნქცია აქვს ტექსტში სიმბოლურ ჩანაწერებს –  $abcb^1a^1$ ,  $abc\dots a^1b^1c^1$ ?

ეს გამოსახულებები:

- (ა) თვალსაჩინოს ხდის პოემის კომპოზიციის საპირისპირო პოლუსების შინაარსობრივ იდენტურობას
- (ბ) წარმოადგენს ანტიკური საბერძნეთის მხატვრულ აზროვნებაში დამკვიდრებული პრინციპების ილუსტრირებას
- (გ) წარმოადგენს ხალხური და წერილობით შექმნილი ეპოსის ტიპოლოგიური მსგავსების ილუსტრირებას
- (დ) თვალსაჩინოს ხდის წრიული კომპოზიციის ათვლის წერტილს, ანუ პოემის კომპოზიციურ ცენტრს

**47.** ფრაზა – „სხვა აქვთ ღმერთებს საკამათო I ქებაში და სხვა რამეზე დავობენ ისინი ბოლო ქებაში“ – იმას მიგვანიშნებს, რომ:

- (ა) პოემის ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილებში ერთი და იმავე ფორმულის შეგნებული გამოყენებით პოეტი ხაზს უსვამს პასაჟთა შორის კავშირს
- (ბ) როდესაც ეპიზოდები ცენტრის მიმართ წრიულადაა განლაგებული, მაშინ ტიპოლოგიურ მსგავსებაში არ იგულისხმება შინაარსობრივი იგივეობა, პარალელური დაყოფისას კი – პირიქით, ტიპოლოგიური მსგავსება გულისხმობს შინაარსობრივს
- (გ) სტრუქტურულად მსგავსი წინადადებები მთელ სიტყვაში ან ცალკეული სცენები მთელ ტექსტში გარკვეული პრინციპით ნაწილდება, მიუხედავად მათი შინაარსის იგივეობისა თუ სხვაობისა
- (დ) რომელიმე გმირის მიერ წარმოთქმული სიტყვა ან პოემის ცალკეული ეპიზოდი წარმოადგენს გარკვეულ სტრუქტურულ მთლიანობას, რომელთა პირველი და ბოლო ნაწილები შინაარსობრივად იდენტურია

**48.** ქვემოთ წარმოდგენილია „ილიადას“ დასაწყისსა და დასასრულს განლაგებული (I და XXIV ქებათა ეპიზოდების) სცენები:

ეპიზოდი I ქებიდან

- a ქრისე მიდის აგამემნონთან გამოსასყიდით
- b აგამემნონი არ იღებს გამოსასყიდს
- c კამათი აქილევსსა და აგამემნონს შორის
- d ბრისეიდას მოტაცება

ეპიზოდი XXIV ქებიდან

- a<sup>1</sup> პრიამოსი მიდის აქილევსთან გამოსასყიდით
- b<sup>1</sup> აქილევსი იღებს გამოსასყიდს
- c<sup>1</sup> საუბარი აქილევსსა და პრიამოსს შორის
- d<sup>1</sup> ბრისეიდას დაბრუნება

ეპიზოდებისა თუ სცენების განლაგების რომელი აღწერაა მართებული?

- (ა) პოემის ცენტრალური ნაწილის მიმართ I და XXIV ქებათა ეპიზოდები წრიულად არიან განლაგებულნი, ამ ეპიზოდთა სცენები კი ერთმანეთს პარალელური დაყოფის პრინციპით უკავშირდება
- (ბ) ქებათა სცენები როგორც ცენტრის, ასევე, ერთმანეთის მიმართ წრიული კომპოზიციის პრინციპითაა განაწილებული
- (გ) პირველ და ბოლო ქებათა ეს ეპიზოდები ერთმანეთის მიმართ წრიულად არიან განლაგებულნი, ხოლო ცენტრალური ნაწილის მიმართ – პარალელური მიმდევრობის შესაბამისად
- (დ) პირველ ქებაში სცენები განლაგებულია ტიპოლოგიური მსგავსების, ხოლო ბოლო ქებაში – ტიპოლოგიური განსხვავების ნიშნით

**49.** ტექსტის თანახმად, რა მიმართებაა ფოლკლორსა და ჰომეროსის ეპოსს შორის?

- (ა) ზეპირი გზით იქმნება ვრცელი ფოლკლორული ნაწარმოები; ჰომეროსის ეპოსი მრავალი ნიშნით ჰგავს ხალხურს, შესაბამისად, ისიც ზეპირად უნდა შექმნილიყო
- (ბ) ფოლკლორისთვის დამახასიათებელი პოეტური ფორმულების განაწილების პრინციპი უმცირეს სტრუქტურულ ერთეულებში იჩენს თავს, ჰომეროსის ეპოსში კი იგივე პრინციპი ჩანს მთელ სტრუქტურაში
- (გ) შინაარსის მქონე ელემენტთა კომპოზიციური განაწილების წრიული თუ პარალელური მიმდევრობის პრინციპი, ჰომეროსის ეპოსისგან განსხვავებით, ფოლკლორულ ნიმუშებში მკაცრად განსაზღვრული არ არის
- (დ) ფოლკლორისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ეპიკური ენა; იგივე მახასიათებელი ჰომეროსთან იძენს სისტემურ ხასიათს – ტექსტის უმცირესი ერთეულიდან მის მთლიან სტრუქტურამდე

**50.** ტექსტი იწყება შეკითხვით. რომელ აბზაცში გვაქვს მისი პასუხი?

- (ა) I აბზაცში – ჰომეროსის პოემები ზეპირად შეიქმნა და მხოლოდ შემდეგ ჩაიწერა ან ჰომეროსისავე ეპოქაში, ანდა – მოგვიანებით
- (ბ) II აბზაცში – ორგანიზებული სისტემა და პოეტური ფორმულების კანონზომიერი გამოყენება პასაჟთა შორის მიმართების ხაზგასასმელად მხოლოდ წერილობითი გზით შექმნილი ეპოსისთვისაა ნიშანდობლივი
- (გ) III აბზაცში – ჰომეროსის ორივე პოემა აგებულია კომპოზიციური ორგანიზაციის იმ პრინციპთა შესაბამისად, რომლებიც გეომეტრიული ეპოქის ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი
- (დ) IV აბზაცში – ჰომეროსის ეპოსში ტექსტის ორგანიზების ძირითადი პრინციპებია წრიული კომპოზიცია და პარალელური დაყოფა, ეპიზოდთა თავისუფალ მიმდევრობას კი სისტემური ხასიათი არ აქვს

# მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

**1. ნული** არც დადებითია და არც უარყოფითი;  
1 არ არის მარტივი რიცხვი.

**2. პროცენტი:**  $a$  რიცხვის  $k\%$  არის  $a \cdot \frac{k}{100}$ .

**3. ხარისხი:**  $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$  ( $n$ -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

**4. პროპორცია:** თუ  $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$ , მაშინ  $ad = bc$ .

**5. სიჩქარე:**  $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

**6. საშუალო არითმეტიკული:**

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$

**7. ალბათობა:** თუ ყველა ელემენტარული ხდომილება თანაბრად მოსალოდნელია, მაშინ **ხდომილობის ალბათობა** ტოლია ამ ხდომილობის ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილობათა რაოდენობის შეფარდებისა ელემენტარულ ხდომილობათა საერთო რაოდენობასთან.

თუ ამოცანის პირობაში საწინააღმდეგო არაა ნათქვამი, ყველთვის იგულისხმება, რომ ელემენტარული ხდომილობები თანაბრად მოსალოდნელია.

**8. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:**

$$(a + b)^2 = a^2 + 2ab + b^2$$


$$(a - b)^2 = a^2 - 2ab + b^2$$

$$(a + b)(a - b) = a^2 - b^2$$

**9. ნახაზზე კუთხე შეიძლება**


მონიშნული იყოს კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით, მართი კუთხე კი - პატარა კვადრატით.

$\angle A$  აღნიშნავს  $A$  კუთხის სიდიდეს.



**10. პარალელური წრფეები:**

ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია:  $\alpha = \beta$ .



**11. სამკუთხედი:**


- სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი  $180^\circ$ -ის ტოლია;

- **პითაგორას თეორემა:**

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრეტი კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის ტოლია:

$$AB^2 = AC^2 + BC^2$$

- სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია:  $S = \frac{ah}{2}$ .



**12. ოთხკუთხედი:**

- ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი  $360^\circ$ -ის ტოლია;

- მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია:  $S = ab$ ;

- პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია:  $S = ah$ .

**13. წრე, წრეწირი:**

- წრეწირის სიგრძე  $L$  მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით:  $L = 2\pi r$ ;

$\pi$  რიცხვი, მესამედის სიზუსტით, 3,14-ის ტოლია;


- $r$  რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით:  $S = \pi r^2$ .



**14. მართკუთხა პარალელებიპედი:**

- მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია:  $V = abc$ ;

- კუბის შემთხვევაში:  $a = b = c$ .



## რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს  $A$  და  $B$  სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ  $A$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $B$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ  $B$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $A$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	$A$	$B$	
--	-----	-----	--

51.	$\frac{3}{7} \cdot \frac{6}{35}$	$\frac{2}{3} \cdot \frac{4}{15}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	----------------------------------	----------------------------------	-----------------


52.	რომბის პერიმეტრი ტოლია იმ ტოლფერდა სამკუთხედის პერიმეტრისა, რომლის ფერდის სიგრძე ფუძის სიგრძეზე ნაკლებია.	<table border="1"> <tr> <td>რომბის გვერდის სიგრძე</td> <td>ტოლფერდა სამკუთხედის ფუძის სიგრძე</td> </tr> </table>	რომბის გვერდის სიგრძე	ტოლფერდა სამკუთხედის ფუძის სიგრძე	(ა) (ბ) (გ) (დ)
რომბის გვერდის სიგრძე	ტოლფერდა სამკუთხედის ფუძის სიგრძე				

53.	$a = -1, \quad b = 2.$ <table border="1"> <tr> <td><math>6a - 8 : b</math></td> <td><math>(6a - 8) : b</math></td> </tr> </table>	$6a - 8 : b$	$(6a - 8) : b$	(ა) (ბ) (გ) (დ)
$6a - 8 : b$	$(6a - 8) : b$			

54.	რიცხვების ციფრულ ჩანაწერებში ზოგიერთი ციფრი კვადრატითაა დაფარული (თითო ციფრი – თითო კვადრატით).	<table border="1"> <tr> <td><math>6\blacksquare 7 - 3\blacksquare 8</math></td> <td>390</td> </tr> </table>	$6\blacksquare 7 - 3\blacksquare 8$	390	(ა) (ბ) (გ) (დ)
$6\blacksquare 7 - 3\blacksquare 8$	390				

55.	პირამიდის წიბოების რაოდენობა არ აღემატება 8-ს.	<table border="1"> <tr> <td>ამ პირამიდის წახნაგების რაოდენობა</td> <td>5</td> </tr> </table>	ამ პირამიდის წახნაგების რაოდენობა	5	(ა) (ბ) (გ) (დ)
ამ პირამიდის წახნაგების რაოდენობა	5				

56.	$k$ ნატურალური რიცხვია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$8 \cdot \left(\frac{1}{2}\right)^k$	$2^{k+2}$	

57.	<p>ტოლდანაყოფებიან სკალაზე მონიშნულია E, F და D ქვეყნების მოსახლეობათა რაოდენობების შესაბამისი წერტილები. ამასთან, E და D ქვეყნების მოსახლეობათა რაოდენობები (მილიონებში) ნახაზზეა მითითებული.</p> 	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<p>F ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა</p> <p style="text-align: center;">260 მილიონი</p>	

58.	<p>კლების მიხედვით დალაგებული ნებისმიერი ექვსი რიცხვის მედიანა მესამე და მეოთხე რიცხვების საშუალო არითმეტიკულის ტოლია. მოცემულია კლების მიხედვით დალაგებული ექვსწევრიანი მიმდევრობა, რომლის მესამე წევრი 18-ზე მეტია.</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<p>მიღებული მიმდევრობის მედიანა</p> <p style="text-align: center;">18</p>	

## ამოცანები

59. 13,8 მილიონზე 6-ჯერ ნაკლებია:

- (ა) 2 მილიონ 100 ათასი
- (ბ) 2 მილიონ 200 ათასი
- (გ) 2 მილიონ 300 ათასი
- (დ) 2 მილიონ 400 ათასი
- (ე) 2 მილიონ 800 ათასი


60. ოთხი რიცხვიდან პირველი 3-ით მეტია მეორეზე, მაგრამ 7-ით ნაკლებია მესამეზე, ხოლო მეოთხე რიცხვი ორჯერაა ნაკლები მეორე და მესამე რიცხვების ჯამზე. რამდენით მეტია მეოთხე რიცხვი პირველზე?

- (ა) 2-ით
- (ბ) 4-ით
- (გ) 6-ით
- (დ) 8-ით
- (ე) 10-ით

61. ერთნაირი ზომის კუბები ისე დააწყვეს, რომ კიბის ფორმის სხეული მიიღეს (იხ. ნახაზი).

სულ რამდენი კუბი დაუწყვიათ?

- (ა) 29
- (ბ) 34
- (გ) 48
- (დ) 56
- (ე) 80




62. თუ  $-\frac{1}{8} \cdot (6y + 5) = -\frac{1}{8} \cdot (-7 + 3y)$ , მაშინ  $2y =$

- (ა) -8
- (ბ) -6
- (გ) -5
- (დ) -4
- (ე) -2

### მონაცემთა ანალიზი

სათხილამურო ტრასაზე მისასვლელად სარგებლობენ საბაგირო გზით, რომლის მუშაობის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, ამინდზეა დამოკიდებული. უამინდობის შემთხვევაში საბაგირო გზა არ მუშაობს. დიაგრამაზე ტეხილებით შემოსაზღვრულია არეები, რომლებიც გვიჩვენებს, ნოემბრის რომელ დღეებში და რომელ საათებში მუშაობდა საბაგირო გზა. მაგალითად, დიაგრამიდან ჩანს, რომ 1 ნოემბერს საბაგირო გზა მუშაობდა მხოლოდ 12.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

**63.** რამდენი საათის განმავლობაში მუშაობდა საბაგირო გზა 18 ნოემბერს?

- (ა) 4
- (ბ) 5
- (გ) 6
- (დ) 7
- (ე) 8

**64.** ჩამოთვლილთაგან რომელ დღეს ვერ ვისარგებლებდით საბაგირო გზით 16.00 სთ-ზე?

- (ა) 3 ნოემბერს
- (ბ) 8 ნოემბერს
- (გ) 19 ნოემბერს
- (დ) 26 ნოემბერს
- (ე) 28 ნოემბერს

**65.** ნოემბერში სულ რამდენი დღე იყო ისეთი, როცა საბაგირო გზა ან არ მუშაობდა, ან მისი მუშაობის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 2 საათს?

- (ა) 2
- (ბ) 4
- (გ) 6
- (დ) 8
- (ე) 10

**66.** საბაგირო გზით ერთ საათში მაქსიმუმ 300 ადამიანის გადაყვანაა შესაძლებელი. მგზავრობის საფასური 40 თეთრია. მაქსიმუმ რამდენი ლარი შეიძლება იყოს 14 ნოემბერს საბაგირო გზით მგზავრების გადაყვანით მიღებული შემოსავალი?

- (ა) 300
- (ბ) 340
- (გ) 400
- (დ) 480
- (ე) 520


## ამოცანები

67. მომღერლებმა გადაწყვიტეს საქველმოქმედო კონცერტი აპრილის მეორე შაბათს გაემართათ. რომელ აპრილს უნდა ჩატარებულიყო ეს კონცერტი (ნახაზზე მოცემულია ამავე წლის მაისის კალენდარი)?

	მ	ა	ს	ო
ორშაბათი	6	13	20	27
სამშაბათი	7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22
ხუთშაბათი	2	9	16	23
პარასკევი	3	10	17	24
შაბათი	4	11	18	25
კვირა	5	12	19	26

- (ა) 9 აპრილს
- (ბ) 10 აპრილს
- (გ) 11 აპრილს
- (დ) 12 აპრილს
- (ე) 13 აპრილს

68.  $K$  წერტილი  $ABCD$  პარალელოგრამის  $BC$  გვერდზე მდებარე ისეთი წერტილია, რომ  $AB$  მონაკვეთი  $BK$  მონაკვეთის ტოლია.  $\angle ABC = 100^\circ$ ,  $\angle ADK = 65^\circ$ . რისი ტოლია  $\angle AKD$ ?



- (ა)  $65^\circ$
- (ბ)  $70^\circ$
- (გ)  $75^\circ$
- (დ)  $80^\circ$
- (ე)  $85^\circ$

69.  $b$  ისეთი რიცხვია, რომ  $2 - 3b < 12 + b$ . ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი არ შეიძლება იყოს  $b + 4$ ?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

70. დიტო რიცხვების ჩასაწერად ერთეულებს აღნიშნავდა | ნიშნით, ხუთეულებს – ■ ნიშნით, ხოლო ოცეულებს – ● ნიშნით. მაგალითად, რიცხვი 48 დიტოს აღნიშვნებით ასე ჩაიწერება: ●●■|||. როგორ ჩაიწერება დიტოს აღნიშვნებით

●●■||| + ●■||| ჯამის გამოთვლით მიღებული რიცხვი?


- (ა) ●●■|||
- (ბ) ●●●■||
- (გ) ●●●■|||
- (დ) ●●●●||
- (ე) ●●●●■||



71. კლასში 24 მოსწავლეა. მათგან ძმა ჰყავს 12 მოსწავლეს, დაც და ძმაც – 5-ს, ხოლო გია და ნინო დედისერთები არიან. ამ კლასის სულ რამდენ მოსწავლეს ჰყავს და?

- (ა) 7
- (ბ) 12
- (გ) 15
- (დ) 17
- (ე) 19

72. მართკუთხა სამკუთხედიდან, რომლის ერთი კათეტის სიგრძეა 5 სმ, მეორისა – 7 სმ, ამოკვეთილია კვადრეტი, რომლის გვერდის სიგრძეა 2 სმ. რამდენი კვადრატული სანტიმეტრია სამკუთხედის დარჩენილი ნაწილის ფართობი?



- (ა) 13,5
- (ბ) 20
- (გ) 27,5
- (დ) 31
- (ე) 32,5


73. წითელი ბურთულა 6-ჯერ მძიმეა ლურჯზე, მაგრამ 3-ჯერ მსუბუქია მწვანე ბურთულაზე; ყვითელი ბურთულა 3-ჯერ მძიმეა თეთრი ბურთულაზე, მაგრამ 2-ჯერ მსუბუქია მწვანეზე. რამდენჯერ ნაკლებია ლურჯი ბურთულის წონა თეთრი ბურთულის წონაზე?

- (ა) 9-ჯერ
- (ბ) 6-ჯერ
- (გ) 5-ჯერ
- (დ) 4-ჯერ
- (ე) 3-ჯერ


74. თუ  $a$ ,  $b$  და  $c$  ერთმანეთისაგან განსხვავებული, 15-ზე ნაკლები ნატურალური რიცხვებია, მაშინ  $a : b - 3 \cdot c$  გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობაა:

- (ა) 4
- (ბ) 6
- (გ) 8
- (დ) 10
- (ე) 12


75. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი ხუთკუთხედის წვეროების კოორდინატები შეიძლება იყოს  $(-3; 2)$ ,  $(0; 1)$ ,  $(1; 3)$ ,  $(2; 0)$ ,  $(-2; -2)$ ?




(ა)




(ბ)



(გ)



(დ)



(ე)

## რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს  $A$  და  $B$  სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ  $A$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $B$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ  $B$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $A$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	$A$	$B$	
--	-----	-----	--

<b>76.</b>	12 ფანქარსა და 9 კალამში 15 ლარი გადაიხადეს.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	20 ფანქრისა და 15 კალმის ღირებულება	25 ლარი	


<b>77.</b>	$( )^*$ -ით აღნიშნულია ფრჩხილებში მოთავსებული რიცხვების ნამრავლის მნიშვნელობა. მაგალითად, $(2; 0,5; 6)^* = 2 \cdot 0,5 \cdot 6 = 6$ . $x, y$ და $z$ – დადებითი რიცხვებია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$(x; y)^* \cdot (y; z)^*$	$(x; y; z)^*$	

<b>78.</b>	$ABCD$ კვადრატის ფართობია $28 \text{ სმ}^2$ . $M$ წერტილი $CD$ გვერდის შუაწერტილია, ხოლო $N$ წერტილი $AB$ გვერდზე მდებარეობს, ოღონდ $A$ -სთან უფრო ახლოს, ვიდრე – $B$ -სთან.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$AMN$ სამკუთხედის ფართობი	5 $\text{სმ}^2$	

<b>79.</b>	ვაჟას ხელფასი 20%-ით მომატების შედეგად $a$ ლარით გაიზარდა, ხოლო სანდროს ხელფასი 25%-ით დაკლების შედეგად $2a$ ლარით შემცირდა.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ვაჟას ხელფასი მომატებამდე	სანდროს ხელფასი შემცირებამდე	

80.	აუზში 3 ერთნაირი მილით 15 წუთში 4 ტონა წყალი ჩაედინება.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block;">წყლის წონა, რომელიც აუზში 2 ასეთივე მილით 20 წუთში ჩაედინება</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block; margin-left: 100px;">3 ტონა</div>		

81.	ნესვი 3 კგ-ზე ნაკლებს იწონის. ამ ნესვისა და საზამთროს წონათა საშუალო არითმეტიკული კი 7 კგ-ზე მეტია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block;">საზამთროს წონა</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block; margin-left: 100px;">10 კგ</div>		

82.	<p>წრეწირი, რომლის რადიუსის სიგრძეა <math>r</math>, მასზე მდებარე E და F წერტილებით დაყოფილია ორ რკალად, რომელთაგან უმცირესის სიგრძეა <math>0,9r</math>. OE და OF რადიუსებით შედგენილი კუთხის სიდიდე <math>\beta</math>-ს ტოლია.</p>		(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block;">β</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block; margin-left: 100px;">60°</div>		

## ამოცანები

**83.** ციფრებით: 2, 3 და 5 ჩაწერეს 3-ზე მეტი და 5-ზე ნაკლები ყველა შესაძლო ათწილადი ისე, რომ ყოველი ათწილადის ჩაწერისას გამოიყენეს სამივე ციფრი, თითოეული – მხოლოდ ერთხელ. მიღებული ათწილადებიდან უდიდესისა და უმცირესის ჯამი ტოლია:

- (ა) 5,87-ის
- (ბ) 6,50-ის
- (გ) 6,77-ის
- (დ) 7,67-ის
- (ე) 8,84-ის

84. თუ  $k$  რიცხვის 30% ორჯერ ნაკლებია  $n$ -ზე, მაშინ  $\frac{k}{n} =$

- (ა)  $1\frac{2}{3}$
- (ბ) 0,15
- (გ)  $1\frac{1}{3}$
- (დ) 8
- (ე)  $2\frac{1}{2}$

85. ანა მაისურისა და შარვლის ჩაცმას აპირებს. მას აქვს წითელი, თეთრი და ლურჯი მაისურები და ამავე ფერების სამი შარვალი. ანა არასოდეს იცვამს ერთი და იმავე ფერის სამოსს ერთად. მაისურისა და შარვლის შეხამების რამდენი შესაძლო ვარიანტი აქვს ანას?


- (ა) 5
- (ბ) 6
- (გ) 7
- (დ) 8
- (ე) 9

86. ზუთხის წონა 5 კილოგრამით აღემატება ორაგულის წონას. ორაგულის წონა ზუთხის წონის  $\frac{3}{5}$  ნაწილის ტოლია. რას უდრის ზუთხის წონა?

- (ა) 8 კგ
- (ბ) 9,5 კგ
- (გ) 10 კგ
- (დ) 12,5 კგ
- (ე) 15 კგ

## მონაცემთა ანალიზი

წრიულ დიაგრამაზე მოცემულია, 2004 წელს ერთ-ერთ ქვეყანაში იმპორტირებული ტვირთის საერთო წონის რამდენი პროცენტი იქნა გადაზიდული რკინიგზით, ავტოტრანსპორტით, საზღვაო თუ საჰაერო ტრანსპორტით. ცხრილში კი მოცემულია, 2003 და 2004 წლებში ამ ქვეყანაში იმპორტირებული ტვირთიდან რამდენი მილიონი ტონა იქნა გადაზიდული რკინიგზით და ავტოტრანსპორტით და რა სახის იყო ეს ტვირთი (საკვები პროდუქტები, სამრეწველო საქონელი თუ სხვა).



	საკვები პროდუქტები		სამრეწველო საქონელი		სხვა საქონელი	
	რკინიგზა	ავტოტრანსპორტი	რკინიგზა	ავტოტრანსპორტი	რკინიგზა	ავტოტრანსპორტი
2003 წ.	30	2,7	31	12	28	3,3
2004 წ.	25	12,8	30	9	17	8,2

დიაგრამისა და ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

**87.** რამდენჯერ ნაკლები იყო 2004 წელს ავტოტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის წონა საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის წონაზე?

- (ა) 1,2-ჯერ
- (ბ) 1,3-ჯერ
- (გ) 1,4-ჯერ
- (დ) 1,5-ჯერ
- (ე) 1,6-ჯერ

**88.** სულ რამდენი მილიონი ტონა ტვირთი იქნა გადაზიდული რკინიგზით 2003 წელს?

- (ა) 59
- (ბ) 61
- (გ) 76
- (დ) 82
- (ე) 89

**89.** რამდენი პროცენტით ნაკლები იყო 2004 წელს ავტოტრანსპორტით გადაზიდული სამრეწველო საქონლის წონა 2003 წელთან შედარებით?

- (ა) 5%-ით
- (ბ) 10%-ით
- (გ) 15%-ით
- (დ) 20%-ით
- (ე) 25%-ით

**90.** რამდენი მილიონი ტონა ტვირთი გადაუზიდავთ საჰაერო ტრანსპორტით 2004 წელს?

- (ა) 10
- (ბ) 12
- (გ) 14
- (დ) 16
- (ე) 18

## ამოცანები


91. ისეთი უკვეცდი წილადებიდან, რომელთა მნიშვნელი 20-ის ტოლია, რამდენია  $\frac{1}{5}$ -ზე მეტი, მაგრამ  $\frac{1}{2}$ -ზე ნაკლები?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

92. 1 კგ მაკულატურისგან შეიძლება დამზადდეს 25-30 ცალი თხელი რვეული ან 10-15 ცალი სქელი რვეული. ბავშვებმა შეაგროვეს მაკულატურა, რომლისგანაც შესაძლებელია დამზადდეს მინიმუმ 40 ცალი სქელი რვეული. მაქსიმუმ რამდენი თხელი რვეული შეიძლება დამზადდეს ბავშვების მიერ შეგროვილი მაკულატურისგან?

- (ა) 60
- (ბ) 80
- (გ) 100
- (დ) 120
- (ე) 150

93. ABC სამკუთხედის სამივე წვერო იმ ბადის კვანძებს ემთხვევა, რომლის თითოეული უჯრედი კვადრატია (იხ. ნახაზი). რამდენჯერ მეტია ამ სამკუთხედის AC გვერდის სიგრძე BC გვერდის სიგრძეზე?



- (ა) 1,2-ჯერ
- (ბ) 1,4-ჯერ
- (გ) 1,5-ჯერ
- (დ) 1,6-ჯერ
- (ე) 1,8-ჯერ

94. ნიკამ 100 ლიტრი ღვინით 5-ლიტრიანი, 10-ლიტრიანი და 30-ლიტრიანი ბოცები გაავსო, სულ – 7 ბოცა. რამდენი 10-ლიტრიანი ბოცა გაუვსია მას?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 5
- (ე) 6

**95.** ზღვის წყალს შეურიეს სუფთა წყალი, რომლის წონა ორჯერ ნაკლები იყო ზღვის წყლის წონაზე. მიღებულ ხსნარში მარილის წონა ხსნარის წონის 2% აღმოჩნდა. ზღვის წყლის წონის რამდენი პროცენტი ყოფილა მარილის წონა?

- (ა) 2%
- (ბ) 3%
- (გ) 4%
- (დ) 5%
- (ე) 6%

**96.** ქალაქის 3 ფურცლიდან თითოეული დაჭრეს 5 ნაწილად. შემდეგ მიღებული ნაჭრებიდან ერთ-ერთი კვლავ 5 ნაწილად დაჭრეს და ასე გაიმეორეს რამდენჯერმე. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს მიღებული ნაჭრების საერთო რაოდენობა?

- (ა) 34
- (ბ) 36
- (გ) 39
- (დ) 41
- (ე) 44

**97.** სიბრტყეზე მოცემულია სამი წრეწირი, რომელთა რადიუსების სიგრძეა 5 სმ. ამ წრეწირთა ცენტრებს შორის მანძილებია 10 სმ, 10 სმ და 8 სმ. სულ რამდენია ისეთი წერტილი, რომელიც ამ წრეწირთაგან რომელიმე ორის საერთო წერტილია?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

**98.** ქალაქიდან სოფელში ავტობუსი 5 საათში ჩავიდა, ხოლო მსუბუქი ავტომანქანა იმავე გზით – 3 საათში. როგორც ავტობუსი, ასევე, მსუბუქი ავტომანქანა, თანაბარი სიჩქარით, შეფერხებების გარეშე მოძრაობდა. რამდენჯერ აღემატება ავტობუსის მიერ 2 საათში გავლილი მანძილი მსუბუქი ავტომანქანის მიერ 1 სთ-ში გავლილ მანძილს?

- (ა) 1,2-ჯერ
- (ბ) 1,4-ჯერ
- (გ) 1,8-ჯერ
- (დ) 2-ჯერ
- (ე) 2,4-ჯერ

**99.** მრავალკუთხედის ორი მეზობელი წვეროდან გავლებულია ყველა დიაგონალი. მათი რაოდენობა 10-ის ტოლია. რამდენი წვერო აქვს ამ მრავალკუთხედს?

- (ა) 6
- (ბ) 7
- (გ) 8
- (დ) 9
- (ე) 10

**100.**  $p$  და  $q$  ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ  $p > q$  და  $p + q = 34$ . მაქსიმუმ რისი ტოლი შეიძლება იყოს  $p$ -ს  $q$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- (ა) 7
- (ბ) 8
- (გ) 9
- (დ) 10
- (ე) 11





წონიანი უნარების ტესტის  
პასუხების ფურცელი

უტრინგოლის ადგილი

პროგრამა არჩეულ პასუხად აღიქვამს შემდეგ სიმბოლოს



შეცდომის შემთხვევაში უჯრა უნდა გაშავდეს მთლიანად



პირბაღური ნაწილი

ანალოგიები									წინადადება				ლოზიკა						ტექსტი					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
ა			X					X							X				X				X	
ბ	X			X			X				X				X				X		X			
გ					X			X			X			X			X		X				X	
დ		X				X				X		X												

ანალოგიები						წინადადება						ლოზიკა						ტექსტი						
26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50
ა					X		X			X					X	X		X				X		
ბ		X	X						X					X				X	X					X
გ	X							X									X				X			
დ				X	X			X			X		X	X									X	

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შეფარება								სამცანები				მონაცემთა ანალიზი				სამცანები								
51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75
ა									X		X			X				X			X			
ბ		X	X	X		X																		
გ	X						X		X					X			X			X			X	
დ					X		X			X				X					X					
ე													X				X					X		X

რაოდენობრივი შეფარება								სამცანები				მონაცემთა ანალიზი				სამცანები								
76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100
ა					X	X		X				X										X		
ბ				X		X			X				X		X		X	X						
გ	X							X											X			X		
დ		X	X							X						X				X				X
ე												X	X			X								

" გვეცანი პასუხების მონიშვნის ინსტრუქციას და მზად ვარ, დავიწყო მუშაობა "